ხაშურის მოამბე

№6 (257) 17 თებერვალი, ორშაბათი 2020 წელი

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი: - გასულ წელს, რეგიონების განვითარებისათვის, 402 მილიონი ლარის 6774 პროექტი განხორციელდა

12 თებერვალს, ვიცე პრემიერი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, მაია ცქიტიშვილი გუბერნატორებს და მუნიციპალიტეტების მერებს შეხვდა, სადაც გასულ წელს განხორციელებულ, წარმატებულ პროექტებზე ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა: რეგიონების განვითარებისათვის გასულ წელს უპრეცენდენტო მასშტაბის სამუშაო ჩატარდა და 402 მილიონი ლარის 6774 პროექტი დაფინანსდა.

„ესაა პროექტები, რომელსაც უშუალოდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ახორციელებენ ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით. მხოლოდ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რომელიც გასულ წელს განახლდა, 4000-ზე მეტი პროექტი შესრულდა, ანუ თითოეულ დასახლებაში სულ მცირე 1 პროექტი მაინც გაკეთდა. გარდა ამისა, 2019 წელს, ჩვენ დავიწყეთ სკოლების ინფრასტრუქტურული განახლება და რეგიონებს პირველად ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ 600-ზე მეტი სკოლის მცირე რეაბილიტაცია თავად განეხორციელებინათ, რისთვისაც 40 მლნ ლარის დაფინანსება გამოიყო. ამის გარდა, ჩვენ გქვონდა ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც ასევე სიახლე იყო მუნიციპალიტეტებისთვის, ესაა ამბულატორიების და სასწრაფო დახმარების ცენტრების მშენებლობა და ამ პროგრამის ფარგლებშიც 300-ზე მეტი ამბულატორიის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო. მათი უმეტესი ნაწილი უკვე დასრულდა. ასევე, 41 სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობა დაიწყო რეგიონებში და 2020 წლის განმავლობაში ჯანდაცვის სამინისტრო მოახდენს ამ ობიექტების აღჭურვას. ყველა ეს პროექტი ემსახურება ჩვენს რეგიონებში იმ საბაზისო ინფრასტრუქტურის განახლებას, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროებს ბევრ ინვესტიციას, ესაა გზები, ლოკალური წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა, გარე განათება, პარკები, სკვერები, მცირე სპორტული ნაგებობი და ა.შ.“ - აღნიშნა ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა რეგიონების განვითარების მიზნით არსებული ფონდებითა და პროგრამებით დაფინანსებული პროექტების 2019 წლის ანგარიშის წარადგენის დროს

ზემო ოსიაური - ჩუმათელეთის გზის მეორე მონაკვეთის მშენებლობისთვის, საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა

აღნიშნულ მონაკვეთზე 6.4 კმ-იანი 4 ზოლიანი გზის, 11 ხიდისა და 5 გვირაბის მშენებლობაა გათვალისწინებული. პროექტს მსოფლიო ბანკი დააფინანსებს. სამუშაოების ვადად 27 თვეა განსაზღვრული. წინადადებების ელექტრონულად მიღება 21 მარტს დაიწყება და 25 მარტს დასრულდება.

ზემო ოსიაური–ჩუმათელეთის გზა რიკოთის საუღელტეხილო გვირაბამდე მიდის. გზა ჩრდილოეთიდან გვერდს აუვლის ხაშურს, სურამს, ჩუმათელეთს და გავა რიკოთის გვირაბთან. ეს მონაკვეთი ერთ-ერთი ურთულესია და მოიცავს რამდენიმე გვირაბსა და ხიდს.

პროექტის ფარგლებში აშენდება 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის გზა, 21 ხიდი, 5 გვირაბი, რკინა-ბეტონის მიწისქვეშა გასასვლელები, წყალგამტარი მილები და სადრენაჟე სისტემები.

ამ დროისთვის, პირველ მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს და მიმდინარე წელს, ხაშურის შემოვლითი 13 კმ-იანი გზა გაიხსნება.

გაიმართა გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა

12 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომას უძღვებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომაზე საანგარიშო მოხსენება წარმოადგინა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა ნინო სუხიაშვილმა. მან მიმოიხილა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით 2019 წელს წარმართული საქმიანობა - მუნიციპალიტეტის სკოლებში თუ ბიბლიოთეკებში ჩატარებული საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის, ადრეული ქორწინების პრევენციის შესახებ და საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის მაგალითები.

გაიმართა დისკუსია.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა სამომავლო ღონისძიებებზეც იმსჯელეს.

საქართველოს მთავრობის ახალი ინიციატივით ხაშურის მუნიციპალიტეტის 37 მაღალმთიანი სოფელიც ისარგებლებს



საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გამოყოფილი 20 მილიონი ლარიდან 10 მილიონი ლარი მოხმარდება მაღალმთიან რეგიონებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, ხოლო მეორე 10 მილიონი კი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტებს

ფონდის თანხა მოხმარდება სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალის" ფარგლებში მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებული ღვინის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფინანსებას, და მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებული რძის მწარმოებელი კოოპერატივებისთვის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენასა და გადამამუშავებელი-შემნახველი საწარმოების პროექტირებას

2019 წელს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა მთის განვითარების ეროვნული საბჭოს მიერ შემუშავებული „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ხუთწლიანი სტრატეგია. სტრატეგიის მიზანია მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარება, იქ მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

საქართველოში მთის სტატუსი მინიჭებული აქვს ქვეყნის 1731 დასახლებას და მთაში მუდმივად მცხოვრების სტატუსით სარგებლობს 246,012 მოქალაქე

ტყეებში სოციალური ჭრები ვეღარ განხორციელდება - რა იცვლება ტყის ახალ კოდექსში

მთავარი ქვაკუთხედი ამ კოდექსის არის ის, რომ ჩვენ ეტაპობრივად გავაუქმოთ სოციალური ჭრა და გადავიდეთ მდგრად მეურნეობებზე,- ამის შესახებ გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსმა კარლო ამირგულაშვილმა განაცხადა. თუმცა, მისივე თქმით, სოციალური ჭრის გაუქმება არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობას ტყეზე და ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობა ეკარგება.

„ჩვენ უნდა გვქონდეს აღრიცხული, თუ რა ქონებას ვფლობთ, უნდა ჩავატაროთ ინვენტარიზაცია. შემდეგ მეტყევეები და სპეციალისტები გადაწყვეტენ, აქედან რა უნდა მოიჭრას. შემდეგ დახარისხდეს და აქედან გაირკვეს, რომელია სამასალე, ნახევრადსამასალე, საშეშე და ბიომასალა. მერქანის განთავსება მოხდება მუნიციპალიტეტში არსებულ საქმიან ეზოებში, აქ უკვე მოქალაქეებს, ეტაპობრივად პროცესზე გადასვლის შემდეგ, საშუალება ექნებათ ადგილზე შეიძინონ პირდაპირი ყიდვისა თუ აუქციონის წესით სასურველი მერქანი. უნდა განვმარტოთ, რომ აქამდე მაღალმთაში დაშვებული იყო 15 კუბური მეტრი შეშის მოჭრა, ბარში - 7. ახალი რეგულაციით კი, ეს იხსნება, რადგან, მასალა საქმიან ეზოებში განთავსდება", - განაცხადა კარლო ამირგულაშვილმა.

შეგახსენებთ,რომ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრომ ტყის ახალი კოდექსი შეიმუშავა. სატყეო სექტორის მართვის განახლებული ინსტიტუციური მოდელი ითვალისწინებს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა ტყის რესურსების რეკრეაციული გამოყენების სტიმულირება და სოფლის განვითარებაში ტყეების როლის ზრდა. აღნიშნული კოდექსის ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე. მათ შორის, სავალდებულო ხდება ტყის მართვაში მეტყევისა და სატყეო საქმის სპეციალისტების მონაწილეობა, რაც რეგიონში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდასა და მიგრაციის პრობლემების მოგვარებას შეუწყობს ხელს. აღსანიშნავია ისიც, რომ კოდექსის ფარგლებში, უქმდება ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიების გაცემა, რაც ლიცენზიანტების მიერ გარემოსთვის მიყენებული ზარალითაა გამოწვეული. ცნობისათვის, ტყის ახალი კოდექსი პარლამენტმა პირველივე მოსმენით 2019 წლის ნოემბერში განიხილა, მეორე საპარლამენტო მოსმენა 12 თებერვალს გაიმართა.



იძულებით გადაადგილებული პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტრამდე ფართობის მიწის ნაკვეთი გადასახადისგან თავისუფლდება

საგადასახადო კოდექსში მომზადებული ცვლილებების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადისგან თავისუფლდება 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იძულებით გადაადგილებული პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის მიწის ნაკვეთი.

აღნიშნული ნორმის მოქმედება შეეხება 2013 წლიდან წარმოშობილ დავალიანებებსაც.

მთავრობის ახალი ინიციატივა მართლაც დიდი შეღავათია დევნილებისთვის და ეს რეფორმა მკვეთრად გაამჯობესებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას.

რჩევები ფერმერებს

რა სამუშაოები უნდა ჩავატაროთ თებერვალში

თებერვალი ზამთრის ბოლო თვეა, თოვლიც იქნება ალბათ და ყინვაც, მაგრამ დღის ხანგრძლივობა მაინც მნიშვნელოვნად იმატებს, მზე უფრო თბილი და ნათელი ხდება. შესაბამისად, ბუნება და ჩვენი ბაღიც მოემზადება გასაღვიძებლად

ფერმერი, სოფლის მოსახლე, მეურნე ადამიანი სწორედ ამ თვეში იწ-

ყებს, ასე თუ ისე, აქტიურ წინა საგაზაფხულო შრომას.

საჯარო რეესტრში გაიფორმეთ ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები

საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში მიიღებთ სრულ ინფორმაციას აგრარული დარგის სამთავრობო პროგრამების შესახებ

დაგეგმეთ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, გაითვალისწინეთ, ოჯახს უზრუნველყოფთ მიღებული შემოსავლებით თუ მიწაზე თქვენი შრომა დამატებით შემოსავალს მოგიტანთ

განსაზღვრეთ, რისი დათესვა/დარგვა გინდათ, შეადგინეთ თესვისა და დარგვის პირადი სამეურნეო კალენდარი; იზრუნეთ სათესლე/სარგავი მასალის მოძიებაზე, მოამზადეთ თესლი დასათესად, დააფასოეთ დათესვის დროის მიხედვით, შეარჩიეთ ჩითილების გამოსაყვანი ადგილი

შეადგინეთ ფერმერის დღიური, დაიწყეთ ჩატარებული სამუშაოების და გაწეული ხარჯების აღრიცხვა, რათა წლის ბოლოს შეძლოთ დადგენა, რამდენად შემოსავლიანი იყო თქვენთვის მეურნეობა, რამდენად დაგიფასდათ შრომა.

გარდა ამისა, ეს დაგეხმარებათ, შემდეგი წლის სამუშაოების უკეთ და ეფექტურად დაგეგმვაში.

თებერვლის თბილ დღეებში ყურადღებით უნდა დავათვალიეროთ ხეხილის ხეები, უნდა მოვაშოროთ შემორჩენილი ფოთლები და ნაყოფი - ხშირად სწორედ მათში იზამთრებს დაავადების გამომწვევი მავნე ორგანიზმები

ასევე ყურადღებით დაათვალიერეთ ხეხილის ვარჯი, ქერქში მავნებლები დებენ კვერცხებს, მათი მოშორება აუცილებელია რადგან, დათბობისთანავე მატლები გამოიჩეკება და ტოტებს, ყლორტებსა და კვირტებს დააზიანებს.

მოაცილეთ ხეებს ხავსი და მღიერები.

თუ ტემპერატურული რეჟიმი დღე-ღამის განმავლობაში მკვეთრად იცვლება, ხეები კირხსნარით შეათეთრეთ (10 ლიტრ წყალზე 2-3 კილოგრამი გადამწვარი კირი).

თებერვალში, თუკი თბილი ამინდები დადგა, აუცილებელია, დავიწყოთ კურკოვან-თესლოვანი კულტურების გასხვლაც.

კენკროვან კულტურებს გადაბერებული, დაავადებული და სუსტი ტოტები უნდა მოვაცილოთ.

ვაზი, ვენახი ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის ქვეშ უნდა იყოს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, უხვი ნალექის პირობებში, ნარგავებში არ დადგეს თოვლის ნადნობი ან წვიმის წყლები. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად ჩაატარეთ სადრენაჟო ღონისძიებები, რათა მცენარის ფესვთა სისტემა ჭარბმა ტენმა არ დააზიანოს.

გაზიდეთ და ნაკვეთებში დააგროვეთ ნაკელი.

გამხმარი, დატეხილი ტოტები, ნასხლავი, ფოთლები და სხვა ორგანული ნარჩენები მოაგროვეთ და გამოიყენეთ: კომპოსტირებისთვის, ბრიკეტირებისთვის, კვლების ამაღლებისთვის და ა.შ.

თუ მრავალწლოვანი კულტურების გაშენება გაქვთ გადაწყვეტილი, გაამზადეთ დასარგავი ორმოები.

გაზაფხულზე ბევრი საქმე გექნებათ, ამიტომ გარკვეული სამუშაოები სჯობს ახლა მოილიოთ.

წარმატებულ და მოსავლიან წელიწადს გისურვებთ!

ავთანდილ გოგალაძე,
ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

მოხვდება ქართული სუფრა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში?

ჩვენს მუნიციპალიტეტში, ეს დღეებია აქტიურად მიმდინარეობს ხელმოწერები ტექსტზე, რომელიც საინიციატივო ჯგუფის მიერაა ორგანიზებული. ტექსტი იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავრობათაშორისო კომიტეტისადმი მიმართვაა, რომელშიც დასაბუთებულია თუ რატომ უნდა ერგოს ქართულ სუფრას ასეთი აღიარება, ქვემოთ გთავაზობთ ამ მიმართვას:

იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავრობათშორის კომიტეტს

ნებისმიერი ქვეყნის იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ამ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობაა. ეს ის ფენომენია, რომელიც საუკუნეების წინ იშვა ერის წიაღში და თავისი არსით განუმეორებელია. სწორედ ამიტომაც, თითოეული ასეთი ფენომენი მსოფლიო საზოგადოებისათვის ფართოდ უნდა იყოს ცნობილი, რომ მხოლოდ "ვიწრო ეროვნულ სივრცეში" არ ჩაიკარგოს.

ქართველი ერისათვის უდიდესი სიხარულის მომტანია ის ფაქტი, რომ იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო საგანძურში ოთხი ქართული ელემენტი აქვს შეტანილი-"ქართული ანბანის სამი სახეობა", "ქართული ჭიდაობა", "ქართული მრავალხმიანობა" და "ქვევრის ღვინო". თუმცა, ეს ორი უკანასკნელი, განყენებულად და ცალ-ცალკე, თითქოსდა, ერთგვარად, "ამოვარდნილია" მთლიანი კონტექსტიდან და იმ ჰარმონიას არღვევს, რასაც მთლიანობაში ქართული სუფრა ჰქვია.

მსოფლიოს მასშტაბით, ძალიან რთულია იპოვო რაიმე წეს-ჩვეულება თუ რიტუალი, რომელიც ამა თუ იმ კულტურაში ისეთ როლს თამაშობდეს, როგორსაც სუფრა-ქართულში. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ "სუფრა" ცხადად თუ ფარულად მონაწილეობს და ყველა სოციალურ აქციაში, რაც კი საქართველოში ხდება. ქართული სუფრა, ერთგვარად, ქართული საგანმანათლებლო სისტემის ნაწილია, ხოლო ამ სუფრაზე წარმოთქმული სადღეგრძელოები ქართული კულტურის ნორმატიული ღირებულებების იერარქიაა. ქართული სუფრა თავისი მრავალხმიანობით, უნიკალური ღვინოებით, საოცარი ტექნოლოგიებით დამზადებული კერძებით, ცეკვებით, ლექსებით, სტუმრის განსაკუთრებული პატივისცემით, ესაა ერთგვარი სპექტაკლი, რომლის რეჟისორი მთელი ქართველი ხალხია და მისი "ლიბრეტოც" საუკუნეების წინ იშვა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში, რომელიც შიდა ქართლის შემადგენელი ნაწილია, ქართული სუფრის ტრადიციები, ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია. ჩვენი ყოფა წარმოუდგენელია ამ ტრადიციების გარეშე და ამიტომაც მხურვალედ ვუჭერთ მხარს ქართული სუფრის ტრადიციების წარდგენას იუნესკოს ნუსხაში, რომ მსოფლიო საზოგადოებამ უფრო ფართოდ გაიცნოს ის ფენომენი, რასაც ქართული სუფრა ჰქვია. ყოველივე ამას კი ვადასტურებთ ჩვენი ხელმოწერით.

იმედია, ხელმოწერებს, რომლებსაც შესაბამისი წარმდგენი იუნესკოს გადასცემს, ასეულობით ჩვენი თანამოქალაქე შეუერთდება და ქართული სუფრა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო საგანძურში მოხვდება.

მომავალზე ორიენტირებული ახალგაზრდა მეწარმე

ანა კოპაძე 16 წლისაა, ცხრამუხაში ცხოვრობს და ძმასთან ერთად, ტრადიციულ ოჯახურ საქმიანობას, მეფუტკრეობას ეწევა. "ზაქარიას თაფლს" უკვე კარგად იცნობს ხაშურელი მომხმარებლები, თუმცა არც კი იციან, რომ ამ წარმოების უკან, ანა და ზაქარია კოპაძეები დგანან, რომლებმაც ბიზნესმეწარმეობა ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან დაიწყეს. ანა ახლაც სკოლის მოსწავლეა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, სკოლასთან ერთად, საყვარელი საქმეც ეკეთებინა. გასულ წელს, "ფლექსის" პროგრამით ამერიკაშიც იმყოფებოდა. უკან დაბრუნებული, ახალი გამოცდილებით და ენთუზიაზით აგრძელებს სამეწარმეო საქმიანობას. ყველაფერი კი სკოლაში, საპილოტე პროგრამის საშუალებით დაიწყო:

- ანა, მოგვიყევი შენი წარმოების შესახებ, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

–ორი წლის წინ, მერვე საჯარო სკოლაში საპილოტე პროგრამა ხორციელდებოდა, რომელიც მოიცავდა სამეწარმეო ტრენინგ-კურსებს ფონდ "კრისტალის" და იუსაიდის პროგრამის ფარგლებში. მე და ჩემმა ძმამ გავიარეთ ეს კურსები, მოვამზადეთ ჩვენი ბიზნესგეგმა, რომელიც მეფუტკრეობის წარმოების გაფართოებას ეხებოდა. ჩვენი ოჯახი ტრადიციულად მისდევდა მეფუტკრეობას, ეს საქმე ბაბუამ დაიწყო, შემდეგ მამამ გადაიბარა და ამის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ, მათი გამოცდილების გაზიარებით და

ამ პროგრამის საშუალებით, ჩვენი მიზნებისთვის მიგვეღწია და ის ოცნება, რომელიც მანამდე გვქონდა, რეალობად გვექცია. როცა უკვე მოვამზადეთ წარმოების გაფართოების გეგმა, წარვუდგინეთ საინვესტიციო კომიტეტს და მოვიპოვეთ დაფინანსება. დაფინანსებული თანხით ფუტკრის 10 ოჯახი შევიძინეთ, გავაფართოვეთ წარმოება, შემდეგ უკვე ბრენდის სახე მივეცით პროდუქციას. ასე შეიქმნა "ზაქარიას თაფლი", რომელიც ჩემი ძმის სახელს ატარებს. ეს ტრენინგ-კურსები ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმისთვის, რომ ამ ყველაფრისთვის ერთიანი ფორმა მიგვეცა, გვცოდნოდა ყველა ის მარკეტინგული გზა, როგორ მიგვეტანა მომხმარებლამდე. მინდა აღვნიშნო, რომ ეს თავდაპირველად გატაცება იყო, მერე უკვე საყვარალ საქმედ მექცა, რომელსაც სკოლის შემდეგ ვაკეთებდი და ამისგან სხვა ემოციას ვიღებდი, დღეს სწორედ ისეთ ეტაპზე ვარ, როცა სერიოზული გეგმები მაქვს ამ მხრივ.

- და ეს გეგმები უკვე არის მოქმედებაში?

–თავდაპირველად, როცა დავიწყეთ, ბუნებრივია, გეგმები და მიზნები გვქონდა, როგორ უნდა წავსულიყავით, როგორ გვემუშავა კლიენტების მოზიდვაზე, როგორ შეგვენარჩუნებინა ხარისხი და გემოვნური თვისებები. ამ ეტაპზე, რადგან ქსელურ მიწოდებას არ ვახორციელებთ, სახლიდან ვყიდით, ჩვენი მუდმივი მომხმარებელი გვყავს.

- დასაქმებულები თუ გყავთ?

–ვინაიდან ეს ოჯახური საქმეა, მე, ჩემი ძმა და მამა ვართ ჩართულები და ყველანაირ საქმეს ჩვენ ვასრულებთ. ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთი ადამიანის დახმარება გახდა საჭირო. მთლიანად ვარ ჩართული ამ პროცესში, ვინაიდან ჩემი ძმა უკვე სტუდენტია და იმდენ დროს ვეღარ უთმობს ამ საქმეს, ვცდილობ, პრაქტიკულთან ერთად, თეორიული ცოდნაც მივიღო. მამას გამოცდილებას ვიზიარებ, პარალელურად, ვცდილობ სიახლეებსაც გავეცნო, რომ ახალი მეთოდები დავნერგოთ, მოდერნიზება გავუკეთოთ და ამით კიდევ უფრო გავაფართოვოთ თაფლის წარმოება.

- რამდენია საშუალოდ წლიური მოსავალი და თუ გახსოვს, პირველ წელს რამდენი კგ თაფლი მიიღეთ?

–მეფუტკრეობა აქამდე არსებობდა, როგორც საოჯახო საქმე, ტრადიციული, რომელიც ჩვენთვის თავიდანვე განსაკუთრებული იყო, თუმცა, მომხმარებლისთვის, რომელიც წლების განმავლობაში ყიდულობდა ჩვენ პროდუქტს, მისთვის იგივე ხარისხია შენარჩუნებული, ეს ჩვენთვის შეიცვალა მდგომარეობა, რადგან უფრო მეტად ვართ წარმოების გაფართოებაზე ორიენტირებულები. პირველ წელს, როცა წარმოება დავიწყეთ, 500 კგ-მდე თაფლი მივიღეთ, მეორე წელს, მიუხედავად წარუმატებელი წლისა, მაინც შევძელით ფუტკრის ოჯახის გაფართოება. ჩვენ ძირითადად ხაშურის ბაზარზე ვართ. დღეს 25 სკა გვყავს, ვმუშაობთ ამ რიცხვის გაზრდაზე, შესაბამისი სერტიფიკატის მიღებაზე,

რაც შესაძლებლობას მოგვცემს უკვე ქსელურად განვვითარდეთ.

- გამოფენებში მონაწილეობაზე გვესაუბრე, როგორც ვიცი, ძალიან კარგი შეფასებები აქვს „ზაქარიას თაფლს".

–დაფინანსების აღებიდან, მეორე წელს, როდესაც უკვე მოსავალი მივიღეთ, სისტემატურად ვმონაწილეობდით სხვადასხვა გამოფენებში. 2018 წელს მოეწყო თბილისში მეწარმეთა სივრცე, მივიღეთ მონაწილეობა გამოფენა-გაყიდვაში, სადაც ჩვენს თაფლზე დიდი მოთხოვნა იყო და ძალიან მალე გაიყიდა, შემდგომში, ჩემი ამერიკაში ყოფნის პერიოდში, ჩემი ძმა იღებდა გამოფენებში მონაწილეობას, რომელიც ისევ ფონდი "კრისტალის" და „yes Georgia" დახმარებით ეწყობოდა და ბოლო გამოფენა-გაყიდვა უკვე ამერიკის საელჩოში იყო. ამჟამად ახალი პროექტი იწყება, რომელსაც იწყებს Usaid ახალგაზრდა ქალი მეწარმეებისთვის, რომელიც 820 000 აშშ დოლარით ფინანსდება. ეს არ არის ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ესაა მუდმივი კავშირი, კონტაქტი და გარანტია იმის, რომ მიიღო სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერა, რაც კარგი შესაძლებლობაა ქალბატონებისთვის. ამ პროექტის ფარგლებში, წარმატებული მეწარმე ქალები შეგვარჩიეს, რომლებმაც მოვახერხეთ ჩვენი ბიზნეს იდეის განხორციელება, მეტ-ნაკლები წარმატებით, მოვამზადეთ პრეზენტაცია და აუდიტორიას ვაჩვენეთ ის გზა, რომელიც გავიარეთ დაფინანსების მომენტიდან დღემდე. ძალიან ზრდის ასეთი ღონისძიებები თვითშეფასებას, ვიძენთ ცოდნას, ცნობადობა მაღლდება საზოგადოებაში და ეს ყველაფერი, დამეთანხმებით, წარმატების საწინდარია.

- შენს ამერიკულ გამოცდილებაზე გვესაუბრე.

–15 წლის ვიყავი, როცა „ფლექსის" პროგრამით წავედი ამერიკაში. ეს ყველაზე დიდი გამოწვევა და გამოცდილება იყო ჩემს ცხოვრებაში. ამ პროგრამამ, მომცა შესაძლებლობა, გავზრდილიყავი პიროვნულად. მარტივი არაა სხვა გარემოში თავის დამკვიდრება, სხვა კულტურებთან შეხება, რაც რთულიც იყო, თუმცა დღეს, მყავს ახალი მეგობრები, ახალი ოჯახი, ურთიერთობები, რომელიც დღემდე გრძელდება.

- სამომავლოდ, რა პროფესიას ირჩევ, თუ ხარ ჩამოყალიბებული არჩევანში?

–სამომავლო პროფესიად ბიზნესადმინისტრირებას ვირჩევ, ამ კუთხით განვითარებას. ამის პარალელურად მინდა პროფესიული განათლების მიღება. მინდა, ვცადო ბედი და ამერიკაში ჩავაბარო, ან გერმანიაში. ვცდილობ იმ კუთხით განვვითარდე, რაც სამომავლოდ დამეხმარება ჩემი საქმიანობის სწორად დაგეგმვასა და განხორციელებაში.

თ. ჯავახიშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“2019 წ.#41,42,44,45,46,47,„ხმ“, 2020 წ.#2,3,4,5)

1736 წელს, სეფი-ხანმა აჯანყებულთა სამფლობელოებს ჯარი შეუსია: „წამოვიდა ჯარი, დადგა ფხვენის და იწყეს იქიდამ თარეშის გასვლა, მიუხდნენ ქსნის ერისთავსა, რამდენჯერაც მივიდნენ, ბრძანებითა ღუთისათა, იმდენჯერ გაემარჯვა, კეხუს მიუხდნენ სამჯერ ამილახვარს გივსა, სამჯერვე გაემარჯვა და მოსწყვიტეს ყიზილბაში. ამაში გამოუსია თარეში, მიუხდნენ დილაბინდზე სააბაშიოს და საჩხეიძოსა და სურამის ხეობასა, ბევრი წაახდინეს და დაწვეს საფალავანდიშვილო და გამოყოლება ააოხრეს, დაწვეს...“.

სეხნია ჩხეიძის თქმით, ყიზილბაშებმა მხოლოდ ზემო ქართლის ციხე-სიმაგრეებს ვერ მიაყენეს ზიანი: „სადაც სიმაგრე იყო, ღუთით ვერა ავნეს-რა“-აღნიშნავს იგი.

ამავე წლის ივლისში, მნიშვნელოვანი ბრძოლები გაიმართა აჯანყებულ ქართველებსა და ყიზილბაშებს შორის ზემო ქართლში - სააბაშიოს ტერიტორიაზე, სადაც ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ისინი. „მკათათვის ორსა, - აღნიშნავს სეხნია ჩხეიძე, - რიჟრაჟზედ შეუტყობლად მოვიდა ჯარი ორი ათასი კაცი. თითვან სულთანი (ე.ი. სეფი-ხანი), აბდულა-ბეგ, ვინცა ვინ ქართველნი იმათგან იყო ციხისძირს (დღევანდელი ბულბულისციხე -თ.ლ.), დაუწყეს ბრძოლა და გართ მოვიდნენ, ნუნის ჩამოვიდნენ, თარეში ჩრდილსა იდგა, აბაშიძე ვახუშტი-ვახანს. რა მოვიდა ამბავი, იარა და შემოეყარა თავისი საყმო, შეიქნა სროლა, ბრძანებითა ღუთისათა, ნუნისა ღუთისმშობელის ძლიერებითა, გაიქცნენ და მოსწყდა მრავალი სული, ჩაყუნენ ციხისძირამდის ცემითა და ხოცითა. ამისთანა გამარჯვება ერთსა და ორს არავის უნახავსო, თან პირ-იქითი ჯარი, თქვენმა მზემა, სხვას გარდა ორასი ასეთი ცხენი შეკაზმულობითა, ზოგი ვერცხლის რახტით აბაშიძეს მოართვეს, სხვა რაც ვინმე დამალა, ის ღმერთმა იცის. ასე ღმერთმან წყალობა მოუვლინა, ერთი კაცი არ მოკდომია, მოვიდა და დაჯდა ნადიმად და გასცა საბოძვარი... სეფი-ხან გაქცეულ და ვინცა-ვინ მორჩათ, იმავ დღეს ფხვენის წავიდნენ“.

შეხედა რა სეფი-ხანმა, ძალით ვერაფერს მიაღწევდა, ახლა თავად გადაწყვიტა, მოლაპარაკება გაემართა აჯანყებულებთან. მან შეძლო, მოტყუებით ჩაეყვანა ისინი გორში, ვითომ მოსალაპარაკებლად და დაეპატიმრებინა. „...მოიტყუენა გორს ქართველნი, შეიპყრა თეიმურაზ, გივი ამოლახორი, ბარძიმ ერისთავი და სხუანი... და წარუვლინა ისპაანს შაჰ ნადირს“.

აჯანყებულთაგან მხოლოდ ქსნის ერისთავის - შანშეს შეპყრობა ვერ მოახერხეს, რომელიც აჯანყებას ჩაუდგა სათავეში.

ქართლში ყიზილბაშთა თარეშს ზედ დაერთო ლეკთა თავდასხმები, რომელმაც ამ პერიოდში თითქმის სისტემატური ხასიათი მიიღო. „გამოვიდა ლეკის ჯარი გულხადარა,- წერს სეხნია ჩხეიძე,-თვესა ოკტომბერსა, ქორონიკონს უკდ (1736 წელი), წაახდინეს გევრდის-ძირი და ზემო ქართლი, ვიდრე სურამამდი...“.

სეფი-ხანი ამჯერად მარტო ქსნის ერისთავის წინააღმდეგ განაგრძობდა ბრძოლას და ადვილად შეძლო ქართლის მთელი რიგი ციხე-სიმაგრეების, მათ შორის სურამის ციხის, დაკავება. „ქორონიკონს უკე (1737 წელი) აპრილს გასულს, კიდევ მოვიდა სეფი-ხან დიდის ჯარით ქართლში, მივიდა ქსნის ერისთავს შინ შეხედა, აიღეს ციხე იკორთისა, ციხე ვანთისა, ციხე კულბითისა, მოუხდნენ აბაშიძე ვახუშტის, აიღეს ციხე ციხის-ძირისა და ციხე სურამის...“.

მართალია, სეფი-ხანმა სურამის ციხე აიღო, მაგრამ შემდგომში გივი ამილახორმა ქართლის სხვა ციხეებთან ერთად ადვილად მოახერხა მასზე თავისი ძალაუფლების გავრცელება.

1738 წელს, ნადირ-შაჰმა ტყვე დიდებული ქართველები, მათ შორის გივი ამილახორიც გაათავისუფლა და ქართლში დააბრუნა, ხოლო ქვეყნის მართვა-გამგეობა ხაჯან-ხანს ჩაბარა. მიუხედავად ერთგვარი დათმობებისა, მაინც ვერ მოხერხდა ქვეყნის დამშვიდება და აჯანყება თანდათან გაძლიერდა.

ამასობაში, ნადირ-შაჰმა ბრძოლა წამოიწყო დაღესტანში ლეკების წინააღმდეგ, რაც გარკვეული რესურსების მობილიზაციას მოითხოვდა. ამიტომ, 1741 წელს, მან ქართლში სპეციალური აღწერა ჩაატარა და ახალ-ახალი გადასახადები შეაწერა ქვეყანას, რისი გაღებაც, ფაქტობრივად, არ შეეძლოთ ქართველებს.

„ირანელმა დამპყრობლებმა, - აღნიშნავს მკვლევარი დ. ლომიძე, - XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში აღმოსავლეთ საქართველოში, ყიზილბაშურ ადმინისტრაციულ მმართველობასთან ერთად, შემოიღეს ყიზილბაშური გადასახადები და ვალდებულებები. წყაროების მონაცემებით, მოსახლეობაზე გაწერილი იყო ზოგადი და კერძო ხასიათის შემდეგი გადასახადები: მალუჯათი, სადრიათი, თოუჯი, თოფჩი, სურსათი, მანძლის თეთრი, ფეშქაში. ქართველ მოსახელობას უნდა შეესრულებინა სამხედრო ბეგარა, გამოეყვანა საკუთარი ხარჯით ნოქარი და ყული. გარდა ამისა, ძალაში დატოვეს ოსმალო დამპყრობლების მიერ შემოღებული გადასახადები მირი და სალიანი. განსაკუთრებით მძიმე და ძნელი იყო ქარველი ხალხისთვის მოუსავლიანობის წლებში ხარკის გაღება, პურის სახით“.

აღნიშნული გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში დოკუმენტური მონაცემებით დასტურდება 1736–1749 წლებში. ცხადია, ამავე გადასახადებს იხდიდა სურამის რეგიონის მოსახლეობაც.

მოსახლეობის ასეთივე აღწერა ჩაუტარებიათ დღევანდელი ხაშურის რეგიონშიც. ეს კარგად ჩანს ერთ-ერთი დოკუმენტიდან, რომელიც 1741 წლით არის დათარიღებული. იგი გიორგი დავითიშვილის ყმებს - სატიველ სეხნია შუბითიძეს და წაბლოვანელ შიო და სეხნია მახარებლიშვილებს ეხება, რომლებიც, შექმნილი მდგომარეობის გამო, თავიანთი მამულებიდან აყრილიყვნენ და სოფელ ცხრამუხაში დამდგარიყვნენ. ერთი ყმა - სატიველი სეხნია შუბითიძე - აღმწერებმა ცხრამუხის „რაიათათ“ დაწერეს, ხოლო წაბლოვანელი შიო და სეხნია მახარებლიშვილი აჰყარეს, კვლავ თავიანთ მამულში მიიყვანეს და გიორგი დავითიშვილს წაბლოვანაზე „დაუწერეს“.

„დავითისშვილის გიორგის ყმა, - ნათქვამია დოკუმენტში, - სეხნია შუბითიძე სატიველი, და წაბლუანელი შიო მახარებლიშვილი და სეხნია, თავ(ი)ს ადგილიდან აყრილიყვნენ და ცხრამუხას მოსულიყვნენ (და) იქ იდგნენ. ჩვენ, მუმიაზმა მირზალი ბეგმა და მირზა თურაბამ, მდივან საროს გულისთვის, სეხნია შუბითიძე ისევ ცხრამუხის რაიათათ დავწერეთ და მახარებლიშვილი შიო და სეხნია, რადგან წაბლუანელი იყო, დავითისშვილს გიორგის მივეცით და წაბლუანზე დაუწერეთ. (ორივე) წაბლოანს თავის მკვიდრს ადგილას უნდა დადგეს“.

1742 წლის აპრილში, ქვეყანაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ, ქართლში აჯანყების ახალი ალის ავარდნა განაპირობა. ამჯერად აჯანყებას გივი ამილახორი ჩაუდგა სათავეში. ამ ეტაპზე მან შეძლო, რომ თითქმის მთელი ქართლის დიდებულები მიემხრო და აჯანყებისათვის ფართო ხასიათი მიეცა. გივი ამილახორმა „ყოველნი თავადნი ზემო ქართლისანი გააერთა“, არაგვის ხეობისა და საამილახოროში მდებარე ციხე-სიმაგრეები გაამაგრა, მათ შორის, ზემო ქართლში, სურამის ციხეც.

პირველ ხანებში ირანის მბრძანებელი ნადირ-შაჰი მშვიდობიანი გზით აპირებდა გივი ამილახორის დამორჩილებას და ბარდის ხანი გამოაგზავნა მასთან მოსალაპარაკებლად. ხანი მივიდა ამილახორთან და ნადირ-შაჰის დანაბარები გადასცა: „თუ ჩამოხვედი, არაფერი ხელმწიფისაგან არ დაგიზიანდესო“, მაგრამ ვერანაირად ვერ მოახერხეს გივი ამილახორის დამორჩილება.

მოახსენეს თუ არა ნადირ-შაჰს ეს ამბავი, იგი კიდევ ერთხელ შეეცადა მშვიდობიანი გზით მის დამორჩილებას და ამჯერად წყალობის სიგელი (რაყიმი) უბოძა გივი ამილახორს: „თუ ჩამოხვედი, ყოველი შენი თომა მოგვიტევებიაო“. მაგრამ ვერც ამ წყალობამ გაჭრა. ნადირ-შაჰმა ვერანაირი წყალობითა თუ დაყვავებით შეძლო გივი ამილახორის შემორიგება. მხოლოდ ამის შემდეგ უბრძანა ქართლის ხანს, ძალით დაემორჩილებინა იგი.

ქართლის ხანი დაუყოყნებლივ შეუდგა შაჰის ბრძანების აღსრულებას, ჯარით გორში მივიდა და „დაუწყო რბევა ქართლსა და წვა მოსავალსა“.

გორში ხანის მისვლამდე გივი ამილახორს ზემო ქართლის ციხეები - კეხვი, წირქორი, სხვილო და სურამი გაემაგრებინა და სამზადისს შესდგომოდა ყიზილბაშების დასახვედრად. ამასთან მან ხეობაში პეტრეს ციხეც დაეჭირა და გაამაგრა. „სურამის ციხეში თავისნი მისანდო კაცნი ედგნენ და ეჭირა ძალით ხეობაში პეტრეს ციხე და შეეყენებინა კაცნი თვისნი,“- აღნიშნავს ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი .

გივი ამილახორმა, თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, სხვა ღონისძიებებსაც მიმართა. დაღესტნიდან გადმოიყვანა დაქირავებული ჯარი. ამავე დროს ოსმალეთთან გააბა კავშირი და ახალციხის ფაშამაც აღარ დააყოვნა დახმარება. გივიმ „გარდმოიტანა ახალციხიდამ ტყვია-წამალი, რეითაც ახალციხის ფაშას მრავალჯერ მოეცა ჯაბახანა... უკუმდგართა ქართველთათვის, ახლაც, მსგავსად დღისა მის, მუდამ აძლევდა ჯაბახანასა და ჰპირდებოდა მოხმარებასა ამილახორსა“.

ზემო ქართლში პოზიციების გამაგრების შემდეგ გივი ამილახორი ცხინვალისაკენ წავიიდა აქაც „განაძლიერნა მიმდგომი თვისი“ და სხვილოს ციხეში დადგა.

ამ დროს ერევნიდან და განჯიდან იმამ-ყული-ხანთან ყიზილბაშების ჯარი მოვიდა და სისტემატური ხასიათი მიეცა აჯანყებული ზემო ქართლის რბევას. „ყოველთვის წავიდის ამათი მარბიელი და მოარბივის მთას აქეთი,-აღნიშნავს პაპუნა ორბელიანი, - დაწვის მოსავალი ანუ შენობა და მოვიდის უვნებლად“.

ქართლის ხანმა, ამ ღონისძიებების პარალელურად, უკუმდგარი თავადების გადაბირების მიზნით, მათთან ურთიერთობა გააბა, „დაუწყო ლაპარაკი... დაპირდა წყალობასა უშურველსა და მისცა ფიცი უშიშროებისათვის“. ხანის ასეთმა მოქმედებამ მალე შედეგი გამოიღო და აჯანყებულ თავადთა ერთი ნაწილი ყიზილბაშების მხარეზე გადავიდა. სულ მალე ისინი აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთვნენ და არც თუ უშედეგოდ.

ქართლის ხანმა ზაალ ავალიშვილს „აღუთქვა მისაცემელი“ და გაგზავნა ხეობაში პეტრეს ციხის ასაღებად. მან მოახერხა, რომ ციხეში თავისი ხალხი შეეგზავნა და თითქმის ადვილად შეძლო მისი დაკავება, „გამოსხა კაცნი ამილახორისანი“ და „შეიყვანა კაცნი თვისნი“.

ამ წარმატებით გათამამებული ქართლის ხანი ამილახორის რეზიდენციას - ჭალას მიადგა, სხვილოს ციხიდან გამოვიდა გივი ამილახორი, „იყვის ომი ფიცხელი, დაიხოცა ორგნითვე ურიცხვი“. ყიზილბაშები იძულებულნი გახდნენ, მუხრანში წასულიყვნენ. აქ არაგვის ერისთავთან მოუხდათ შეტაკება. „რა მივიდნენ საბრძოლსა ადგილსა, დაუშინეს არაგვის ერისთავის კაცთა და მრავალი ყიზილბაში მოკლეს და ძალიან გამოდრიკეს“. ამ დროს, ხანის ბრძანებით, ბრძოლაში საბარათიანოს ჯარი ჩაერთო, არაგვის ერისთავი ოტია დამარცხდა და ბრძოლის ველიდან გაიქცა. ყიზილბაშებმა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს, ხელთ ეგდოთ საჭირო გზები და გორში დაბრუნდნენ.

გამარჯვებულმა ქართლის ხანმა დაიბარა „ვექილ-ვეზირნი და მუსტაფი“ და უბრძანა გადასახადის აკრეფა. „რა მოვიდნენ (გადასახადის ამკრეფნი - თ.ლ.) გორს, დაუწყეს ზემო ქართლს რიგება და მალუჯათისიც თხოვნა დაუპირეს,“ - წერს პაპუნა ორბელიანი.

ქართლის ხანს თითქოს დავიწყებოდა, თუ რა მიზეზით დაიწყო აჯანყება. ასეთმა გადაწყვეტილებამ სულ მალე შედეგი გამოიღო, მისი პოზიციები დაასუსტა და ერთი შეხედვით, წარმატებით დაწყებულ საბრძოლო მოქმედებაზე უარყოფითად იმოქმედა. ყიზილბაშების მხარეზე გადასულმა თავადებმა დაინახეს, რომ ისინი თავისას არ იშლიდნენ, მათ ზურგი შეაქციეს და კვლავ გივი ამილახორის მხარეზე გადავიდნენ. „რა შეიტყვეს (გადასახადის აკრეფის ამბავი - თ.ლ.) ვინც ახალი მოდგომილი საპატიო კაცის შვილი იყო, სულ გაიპარნენ და წავიდნენ.“

ქართლის ხანმა იწყინა თავადების უკუდგომა და ხელი მიჰყო ქართლის აოხრებას. იგი „მივიდა საქართლის ციხესა, აქეთ სულ მოაოხრეს, დაატყვევეს ურიცხვი და ჩამოვიდნენ გორს. წავიდა მეორედ, წაახდინეს სურამის გარშემო და ჩამოვიდნენ უვნებლად.“.

ამის შემდეგ ქართლის ხანი გორიდან აიყარა და ზემო გომში დადგა. აქედანაც „გავიდა მცირეს ჯარით“ და კასპის ციხე აიღო.

1743 წლის აგვისტოში, ქართლელ დიდებულთა ერთი ნაწილი ნადირ-შაჰს ეახლა. ნადირ-შაჰმა, რადგან გივი ამილახორზე „გამწყრალი იყო“, ქართლის ეშიკაღაბაში ელიზბარ ორბელიანი იმ მიზეზით, რომ მისი და გივი ამილახორის მეუღლე იყო, ხოლო ძმა ვახტანგი და ბიძაშვილები გიორგი და სულხანი, რომლებიც აჯანყებაშიც კი არ მონაწილეობდნენ და მისი დაწყებისთანავე იმერეთში იყვნენ გადასულნი, „მოკლა მოშთობით“. შაჰმა „სხვა მრავალი აყვედრა ამილახორის წასვლისათვის და ზემო ქართლის უკუდგომისათვის...“.

ქართლის დიდებულებს. განრისხებული ნადირი დიდი გულისწყრომითა და მუქარით ეუბნებოდა მათ: „ქართლში მიწასაც აღარ გაუშვებო“.

კახთ ბატონი თეიმურაზი, რომელიც მანამდე იმყოფებოდა ნადირ-შაჰთან, დიდი წყალობით იყო გამობრუნებული კახეთს. რატომღაც ნადირ-შაჰმა გული მოიბრუნა ქართლელ დიდებულებზე და უბრძანა: „თეიმურაზ ხანს ეახელითო და ამილახორი შემარიგეთო“. ამავე დროს თეიმურაზ მეფეს შემოუთვალა „შენ თავდებად დაუდექ ამილახორსაო, რომ ჩემგან არა დაუშავდეს რაო“.

თეიმურაზ მეფემ შეიტყო თუ არა ნადირ-შაჰის შემონათვალი, მაშინვე კახეთიდან მცხეთას ჩამოვიდა... „გაგზავნა კახმა ბატონმა თავისი ეშიკაღაბაში სულხანი და თარხანი ლუარსაბ, დაემოციქულა ამოლახორს, პირი მისცა“, „არაფერი შენ ხელმწიფისაგან არა დაგიზიანდეს რაო“, მაგრამ გივი ამილახორი „ვერ დაიმორჩილეს“ და თეიმურაზს თავის მხრივ შემოუთვალა „მიზეზი ბევრი რიგი ჩამოუსვლელობისა“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

თებერვალი დადგაო...

თითქმის მთელი იანვარი ისე მიილია, რომ თოვლი არ იყო და არც წინაპირობა ჩანდა მისი მოსვლის. აი, თებერვალმა კი ჯავრი იყარა დეკემბერ-იანვრის მზიან დღეებზე და უხვი ნალექით გვიმასპინძლა. ერთგვარად, შევეჩვიეთ უთოვლობას და მზეს უფრო მივტირით, თორემ ლამაზი კია "ეს ტიალი", ისეთ ზღაპრულ სამოსელში გახვევს ხოლმე ბუნებას. თუმცა, თებერვალია, როგორც იტყვიან, ხეში წყალია ჩამდგარი და აგერ, ხელის გაწვდენაზე, გაზაფხულიც შემოფრინდება.

შემოქმედებითი საღამო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ცოტა ხნის წინ, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, ჩვენი თანამოქალაქის, ჟურნალისტისა და მწერალის ქალბატონ მაყვალა ხაჩიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელიც მის დაბადების დღეს და მწერალთა კავშირში მიღებას ეძღვნებოდა. საღამოს ესწრებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ქალბატონი მაყვალას განვლილ შემოქმედებით ცხოვრებას. დიდი სიყვარულით და სითბოთი იხსენებდნენ მასთან მეგობრობას, თანამშრომლობას. გარდა მისი მეგობრებისა, საღამოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელით, საინტერესო შემოქმედებითი საქმიანობისთვის, ქალატონ მაყვალას, სიგელი გადაეცა.

დემოკრატიის სკოლის ღია კარის დღე

11 თებერვალს, მთავარ ბიბლიოთეკაში, ჩატარდა EECMD-ის გორის დემოკრატიის სკოლის ღია კარის დღე. დამსწრე საზოგადოებამ ამომწურავი ინფორმაცია მიიღო დემოკრატიის სკოლის 2020 წლის სასწავლო პროგრამის და სხვა მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ.

თავისუფალი ჭიდაობა

ლაშა ლომიძე საერთაშორისო ტურნირის პრიზიორია

6-8 თებერვალს, ბელორუსიის დედაქალაქში, მინსკში, გაიმართა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე მედვედის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებიც იღებდა მონაწილეობას. მკითხველს შევახსენებთ, რომ ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ჩვენი თანამოქალაქე გიორგი კვინიკაძეა. ნაკრებში, სხვებთან ერთად, ხაშურელი ლაშა ლომიძეც იყო(45 კგ). აღსანიშნავია, რომ ლაშა ჯერ მხოლოდ 15 წლისაა და მიუხედავად იმისა, რომ მისი მეტოქეები ორი წლით უფროსები იყვნენ, მან შესანიშნავად იასპარეზა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. როგორც მისი მწვრთნელი, ბატონი გიორგი კვინიკაძე ამბობს, ლაშა ძალზე პერსპექტიული მოჭიდავეა და მომავალში მისგან მნიშვნელოვან წარმატებას ველით.

ვულოცავთ ლაშას და გვჯერა, იგი მწვრთნელის და გულშემატკივრების იმედებს უცილობლად გაამართლებს.

D ვაკანსია

სოფელ ოსიაურში დავასაქმებ ოჯახურ წყვილს(მწყემსი, მწველავი) შესაბამისი ანაზღაურებით. დამიკავშირდით ტელეფონზე 595 736 444

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.